ხელშეკრულება № W-17

ქ.თბილისი 14 „ივნისი“ 2022 წ.

ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს ფოსტა“** წარმოდგენილი მისი ფინანსური დეპარტამენტის უფროსის ლაშა ჯაფარიძის სახით შემდგომში "შემსყიდველი'' და მეორეს მხრივ,შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპ“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ზარანდიას სახით შემდგომში "მიმწოდებელი'', გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებ შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: 2022 წლის 16 ივნისს საქართველოს ფოსტის საკონკურსო მარკის- "Europa 2022" პრეზენტაციაზე, მოწვეული სტუმრებისთვის ღონისძიების ორგანიზების (CPV 79952000) მომსახურების შესყიდვა დანართი #1 შესაბამისად;

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1647.50 (ერთი ათას ექვსას ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების თარიღი და ადგილია:

- 2022 წლის 16 ივნისი: თბილისი, გუდიაშვილის ქ #11 „ ლადო გუდიაშვილის სახელობის საგამოფენო დარბაზი“

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ოფისის ადმინისტრირების ხელმძღვანელი ნუცა სულაძე

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. **შემსყიდველის უფლება აქვს:**

5.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

5.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად.

5.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

5.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

5.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

5.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.
5.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი.
6.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხორციელდება 10 (ათი) სამუშაო დღეში. 6.2. პუნქტში მითითებული მოთხოვნების საფუძველზე.
6.4 საქართველოს ფოსტას მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის უფლებამოსილ პირს წრმოადგენს მარკეტინგის და პრესასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი მაგდანა სანიკიძე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ოფისის ადმინისტრირების ხელმძღვანელი ნუცა სულაძე

10.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 . წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 01აგვისტოს ჩათვლით.

12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 1 (ერთი) ელექტრონულად დამოწმებულ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ახლავს დანართ #1,რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს .

„შემსყიდველი“
შპს “საქართველოს ფოსტა”
ს/კ: 203 836 233
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის № GE13BG0000000123286800

ლაშა ჯაფარიძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

“მიმწოდებელი“
შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპ“
მის: ქ. თბილისი,კერესელიძის ქ #17
ს/კ 404427624
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE63TB7249936060100003

ტარიელ ზარანდია
დირექტორი

Tariel Zarandia 42001006278
Digitally signed by Tariel Zarandia
Date: 2022.06.14 14:37:57

დანართი #1

დასახელება	ერთეულის ღირებულება (ლარი)	რაოდენობა	ჯამური ღირებულება დღგს გათვალისწინებით
ყველის დაფა ევროპული (ედამერი , მოცარელა, ჩედარი,ქამამბერი,გორგონძოლა)	120.00 ლარი	2 ცალი	240.00 ლარი
მინი ბრაუნი	3.50 ლარი	25 ცალი	87.50 ლარი
მინი იდეალი	3.50 ლარი	25 ცალი	87.50 ლარი
მინი შუ	4.00 ლარი	25 ცალი	100.00 ლარი
ქართული ნუგბარი, ჩურჩხელა, ტყლაპი, გარგარის ჩირი, კივის ჩირი,ქლიავის ჩირი	90.00 ლარი	3 ცალი	270.00 ლარი
ყავა/ჩაი აპარატის	4.00 ლარი	40 ცალი	160.00 ლარი
წვენი ნატურალური (ფორთხოხალი, ვაშლი)	3.00 ლარი	40 ცალი	120.00 ლარი
წყალი შუშის ბოთლით	2.50 ლარი	25 ცალი	62.50 ლარი
მიმტანი	120.00 ლარი	2	240.00 ლარი
სერვირება	3.00 ლარი	40 ცალი	120.00 ლარი
ტრანსპორტირება	80.00 ლარი	2	160.00 ლარი

მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 1647.50 (ერთი ათას ექვსას ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)

“შემსყიდველი”

ლაშა ჯაფარიძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

“მიმწოდებელი”

ტარიელ ზარანდია
დირექტორი

Tariel Zarandia 42001006278

Digitally signed by Tariel Zarandia
Date: 2022.06.14 14:38:33

ხელწერილი

ინტერესთა კომფლიკტის არ არსებობის შესახებ

ქ.თბილისი 14“ივნისი“ 2022 წ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელისმოწერით ადასტურებს რომ შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპ“-თან შესყიდვის განხორციელებაში, მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი: ლაშა ჯაფარიძე

შესყიდვების სამსახურის უფროსი: ვაჟა პოპიაშვილი

ოფისის ადმინისტრირების ხელმძრვანელი: ნუცა სულაძე